

ორმაგი ბრუნების კომპიუტერული დამუშავების პრობლემები ძველ
ქართულში

ქეთევან მარიდაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე გამოყენებითი ენათმეცნიერების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: გამოყენებითი ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო დობორჯგინიძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სახელი, გვარი:

თარღი:

აბსტრაქტი

ძველი ქართული ენის კომპიუტერული მოდელირება ახლო მომავლის პერსპექტივად ისახება. ამისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ცენტრი მოსამზადებელ ეტაპებს გადის. საჭიროა შეიქმნას მორფოლოგიური ანალიზატორი, რომელსაც საფუძვლად დაედება ძველი ქართული ენის გრამატიკული წესების სისტემა. აღნიშნული წესების რელევანტურობა და სიზუსტე, ერთი მხრივ, ტექსტების არქტიპული სახით წარმოდგენის წინაპირობად იქცევა და, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს კომპიუტერული ლინგვისტიკის უმთავრესი ამოცანის გადაჭრას. ხელნაწერთა ნორმირებული თუ დარღვეული ფორმები წინასწარი ანალიზის საფუძველზე საგანგებო მეთოდოლოგიური წესებით რეკონსტრუირებული სახით უნდა იყოს წარმოდგენილი კორპუსში.

ძველი ქართული ენა თანამედროვე ქართულთან შეპირისპირებით, გარკვეულწილად, სპეციფიკური მორფოლოგიური სისტემით ხასიათდება. ეს სპეციფიკურობა მთლიანად უნდა აისახოს კორპუსში სწორად წარმართული კომპიუტერული მოდელირების საშუალებით. ვითვალისწინებთ რა, რომ ძველი ქართული ენის გრამატიკა საკმაოდ მრავალპლანიანია და უამრავი პრობლემური საკითხებია განსახილველი, ჩვენს ნაშრომში წარმოვადგენთ კონკრეტულ ასპექტს სახელთა ბრუნებისა, რომელიც ცნობილია „ორმაგი ბრუნების“ სახელწოდებით. აღნიშნული შემთხვევა ძველი ქართული ენისათვის ბუნებრივი მახასიათებელია.

სამაგისტრო ნაშრომში: *ორმაგი ბრუნების კომპიუტერული დამუშავების პრობლემები ძველ ქართულში* მიმოვიხილავთ ზოგადად ორმაგი ბრუნების არსსა და თავისებურებას, განვსაზღვრავთ ნორმით გათვალისწინებულ შემთხვევებს და დარღვეულ ფორმებს. ამ უკანასკნელთა სპეციფიკურობა კვლევის წარმართვის წინაპირობად იქცევა.

კვლევის მიზანია დარღვეული ფორმების ანალიზი და მათი კომპიუტერული მოდელირებისათვის რეკომენდაციების მომზადება, რაც მორფოლოგიური

ანალიზატორის წესებში უნდა იქნას შემდგომში გათვალისწინებული. ამისათვის ყოველი დარღვევა უნდა გაანალიზდეს დიდი მოცულობის ტექსტებში გამოვლენილ შესაბამის ფორმათა ფონზე, სწორად განისაზღვროს, რამდენად არის კონკრეტული მაგალითი „დარღვევა“, ხომ არ ყალიბდება იგი ნორმად გაცილებით ადრე და ხომ არ ხდება გამოცემებში ხელოვნურად ნორმის აღდგენა?

საკვლევი თემა აქტუალურია, ერთი მხრივ, ძველი ქართული ენის კომპიუტერული მოდელირებისა, და, მეორე მხრივ, ხელნაწერებში გამოვლენილ ფორმათა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი ანალიზისთვის, ენაში მიმდინარე პროცესების ზუსტი ქრონოლოგიზაციისა და როგორც ცალკეული ტექსტის, ისე ზოგადად, ძველი ქართული ენის ნორმების დადგენისათვის.

ხელნაწერებში გამოვლენილი დარღვეული ფორმების აკადემიური გამოცემის შესაბამის შემთხვევებთან შედარების საფუძველზე შესაძლებელია ვისაუბროთ გამოცემებში ზედმეტად ნორმირების ტენდენციის შესახებ, რაც გარკვეულწილად გამოწვეულია იმით, რომ ქართულ აკადემიურ გამოცემებში სრულად არ არის დაცული კრიტიკული ტექსტის დადგენის საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტი, ტექსტის არქეტიპული შრის რეკონსტრუქციის პრინციპები.

სამაგისტრო ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოვადგინეთ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგები, ჩამოვაყალიბეთ კვლევის გზით მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები, ძველი ქართული ენის კომპიუტერული მოდელირების პროცესში ორმაგი ბრუნების დარღვეულ შემთხვევათა ადეკვატურად ასახვის მიზნით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ენის კომპიუტერული მოდელირება, მორფოლოგიური ანალიზატორი, მსაზღვრელ-საზღვრული, ორმაგი ბრუნება, პრეპოზიციული და პოსტპოზიციური წყობა ძველ ქართულ ენაში.